



**განათლების  
საჩინოს განვითარების  
ეროვნული ცენტრი**

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

15.05.2022

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

ზვიად როგავა

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421, სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩა, N59
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება № 291513
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 13 მარტი
12	საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 13 მარტამდე
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 13 მარტი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება  
 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვითშეფასებას განახორციელებს;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს;
3. რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშის ყველა სავალდებულო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულფასოვნად იქნეს შევსებული;
4. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვითშეფასებას განახორციელებს;
5. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მექანიზმის დონეზე სწორად არის გაწერილი, ასევე, სწორად იქნეს გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში, სამიზნე ნიშნულების დადგენასა და მონაცემთა შეგროვება-შეფასების პროცესში;
6. რეკომენდირებულია, კურსკულიმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე და ის დონეც, თუ რომელი რა დონით ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს;
7. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და თითოეული სწავლის შედეგისათვის ხელახლა დადგინდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, განხორციელდეს მონიტორინგი და მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შინაარსიდან და თემატიკიდან გამომდინარე, დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, კერძოდ:
  - ა. სავალდებულო სასწავლო კურსს „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“.
  - აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“;
  - ბ. სავალდებულო სასწავლო კურსს „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“.
  - სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“.
  - გ. სავალდებულო სასწავლო კურსს „სასამართლო

უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“. დ.არჩევით სასწავლო კურსს „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“; ე.არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სახელშეკრულებო სამართალი“ და „შრომის სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“; ვ.არჩევით სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“.

9. რეკომენდებულია, იურიდიული კლინიკა შეტანილი იქნეს პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.
10. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ დაიყოს 3 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სამოქალაქო სამართალში“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“ და „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ და სტუდენტებს შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ამასთან, სასწავლო კურსმა „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ უნდა მოიცვას, როგორც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში.
11. რეკომენდებულია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში მყისიერი ტრანსფერის მიზნით, უსდ-მ სრულყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი და სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალუება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი, პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს;
12. სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენდეს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური წერითი საშინაო დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია ან საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს საბაკალავრო ნაშომი, თუნდაც ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორცაა საქართველოს ისტორია, ლათინური ენა, ლოგიკა, პოლიტოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია და რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში;
13. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული მეთოდების, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდის გამოყენებას;
14. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გაითვალისწინონ თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, მათ შორის ისეთი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, როგორცაა პრაქტიკული დავალება, ტესტი, ღია კითხვა, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა;

15. რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
16. რეკომენდირებულია უსდ-მ ბიუჯეტში კონკრეტულად განსაზღვროს/გამოყოს მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობა;
17. რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) ხორციელდებოდეს;
18. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რეკომენდირებულია, მონაცემთა, მათ შორის, პროგრამის სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისათვის გამოყენება;
19. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით;
20. რეკომენდირებულია, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მინიმუმ ყოველწლიურად ხორციელდებოდეს;
21. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდირებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მიღებული შედეგები გაანალიზდეს და ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარების მიზნით.



## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 26 მარტის N 291513 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 13 მარტიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 13 მარტამდე დროის პერიოდი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევების შესრულების თაობაზე დაწესებულებამ ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წარუდგინა 2022 წლის 12 მარტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების განხილვა და დამტკიცება განხორციელდა უსდ-ის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომაზე (ოქმი №9).

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი აისახა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო მათი ნაწილი შესრულდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარების პროცესში.

### რჩევ(ებ)ი

1. სასურველია, საბაკალავრო სამართლის პროგრამის მიზნების შემუშავება, უფრო მეტად, პროგრამულად რელევანტური ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევასა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების ანალიზზე დაყრდნობით განხორციელებულიყო.
2. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის მიზნების ვებ გვერდზე ხელმისაწვდომობა;
3. პროგრამის შედეგების მიღწევადობისა და შეფასების პროცესის გამარტივების მიზნით, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები მცირედად შემცირდეს;
4. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის შედეგების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა;



5. სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელებულიყო;
6. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, მეტწილად იცნობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა, სასურველია, მათი ხელახალი ინფორმირება მას შემდეგ, რაც ხსენებული მექანიზმები გადაისინჯება;
7. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია 5-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში სტუდენტებს უცხოურ ენაზე შეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები, ხოლო ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს უცხოენოვანი ლიტერატურით სწავლებას;
8. სასწავლო კურსი „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“ ორიენტირებულია მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკის სწავლებაზე. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. ამასთან, სასწავლო კურსი „სასამართლო უნარ-ჩვევები“ თემატურად მოიცავს მხოლოდ სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვასთან მიმართებაში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“;
9. სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით არჩევითი სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლოდ, პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;
10. როგორც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო რესურსების ანალიზმა ცხადყო, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსები განახლდეს ან/და შეივსოს თანამედროვე ან/და უახლესი სასწავლო რესურსებით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: ა. სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი“ (თ. ზარანდია, სანივთო სამართალი, თბ., 2019); ბ. სასწავლო კურსი „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ (მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2018); გ. სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ (რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2019); დ. სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“ (დ. ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, მე-5 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2019; პ. ბელთაძე, რ. ლიპარტელიანი, შრომის კოდექსის კომენტარები, თბ., 2018. ზ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბ., 2020); ე. სასწავლო კურსი „საკორპორაციო სამართალი“ (ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბ. 2019); ვ. სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ (ა. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გადამუშავებული და განახლებული გამოცემა, თბ., 2020; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, ვ. გონაშვილი, გ.





თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, თბ., 2020); ზ. სასწავლო კურსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ (ვ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2020; ვ. გონაშვილი, ლ. დარბაიძე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2019); თ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ (სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, ავტორთა ჯგუფი; რედ.: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, თბ., „მერიდიანი“, 2019); ი. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“ (სისხლის სამართლის სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-7 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2019; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, მე-6 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2020; თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ., 2020; ი. დვალიძე, ლ. ხარანაული, გ. თუმანიშვილი, კ. წიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019); ვ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“ (თ. გეგელია, გ. დავითური, გ. იმნაძე, გ. მახარაძე, ბ. ჯიშკარიანი, ნარკოტიკული დანაშაული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020); ლ. სასწავლო კურსი „ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია კერძო სამართალში“ (მ. ბიჭია, ხელშეკრულების ფორმები კერძო სამართალში, თბ., 2019).

11. სასურველია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება;
12. სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერიტი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა);
13. სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებები) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.
14. სასურველია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებითა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, სასწავლო კურსის სილაბუსით უშუალოდ განსაზღვროს როგორც შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი 100 ქულიანი შეფასების ფარგლებში, ასევე შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და აღნიშნული საკითხი ამ დონეზე არ იყოს სტანდარტიზირებული უსდ-ის მიერ;



15. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა იზრუნოს კურსდამთავრებულების მიღწევების, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების, დასაქმების, სწავლის გაგრძელების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაზე. ეს გახდება საფუძველი ოფიციალური სტატისტიკის გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავებისთვის, რაც წარმოაჩენს უსდ-ს სუსტ და ძლიერ მხარეს. კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაცია წარმოადგენს პროგრამის განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს;
16. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასება გაიმიჯნოს ხარისხის გარე შეფასებამონიტორინგისაგან.
17. სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელდეს.

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 26 მარტის N 291513 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 13 მარტიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 13 მარტამდე დროის პერიოდი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევების შესრულების თაობაზე დაწესებულებამ ანგარიში სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წარუდგინა 2022 წლის 12 მარტს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დგინდება, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების განხილვა და დამტკიცება განხორციელდა უსდ-ის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომაზე (ოქმი №9).

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, დაწესებულებამ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევები, რომელთა ნაწილი აისახა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო მათი ნაწილი შესრულდება სამართლის საბაკალავრო პროგრამის განვითარების პროცესში.



## დამატებითი ინფორმაცია

### რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.1. პროგრამის მიზნები</b>
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვითშეფასებას განახორციელებს.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის მიზნების შემუშავებაში შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, თითქოსდა პროგრამის მიზნების შემუშავება განახორციელა თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა, რაც, ლოგიკურად, წინააღმდეგობაშია თვითშეფასების ანგარიშის შედეგისა და პროგრამის დაგეგმარება, შემუშავებისა და განვითარების პროცესთან.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან: საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების, პროგრამის</p>



	<p>შემუშავების, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების ფაზები. ყოველ ფაზაში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები.</p> <p>პროცედურის მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ხდება პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ფორმირება, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის იდეის ინიციატორი (ან მისი წარმომადგენელი), ფაკულტეტის და/ან დეპარტამენტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, უსდ-ის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის შექმნილია პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, სფეროს მოწვეული სპეციალისტი), სტუდენტი, კურსდამთავრებული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, დამსაქმებელი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უსდ-ის ანგარიშით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის შესაბამისად.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო</li> </ul>



	<p>პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა“;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში.</li> </ul>
--	---

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია II	რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა უსდ-ის მიერ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადახედვას, ვინაიდან აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტით საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მიზანი ყველა სწავლის შედეგზე გადიოდა.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით უსდ-ის მიერ გადამუშავდა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. შესაბამისად, მოხდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის კორექტირება. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის თანახმად, პროგრამის პირველ მიზანს შეესაბამება პროგრამის პირველი და მეორე სწავლის შედეგი, მეორე მიზანს - მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სწავლის შედეგი, ხოლო მესამე მიზანს - მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეთათე სწავლის შედეგი.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ია	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>• პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა.</li> </ul>



სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშის ყველა სავალდებულო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულფასოვნად იქნეს შევსებული.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა უსდ-ის მიერ თვითშეფასების ანგარიშში კურსდამთავრებულთ დასაქმების მაჩვენებელისა და კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაჩვენებელის პროცენტული სახით წარმოდგენას ბოლო ხუთი წლის მონაცემთა ბაზაზე დაყრდობით, რათა დასაბუთებადი ყოფილიყო, რამდენ პასუხობს კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია დასაქმების სფეროს მოთხოვნებს.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით უსდ-ის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილია ინფორმაცია აწსუ-ს სამართლის მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, აწსუ-ს სამართლის მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულთაგან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 11 პირს, მოსამართლის თანაშემწის გადამზადების კურსი გავლილი აქვს 9 პირს, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 6 პირს, ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 1 პირს, ხოლო საადვოკატო გამოცდა ჩაბარებული აქვს 10 პირს.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაცია უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს მომავალშიც, თვითშეფასების ანგარიშების შევსებისას, რათა ექსპერტებს გააჩნდეთ შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა.</p>
რჩევა III	პროგრამის შედეგების მიღწევადობისა და შეფასების პროცესის გამარტივების მიზნით, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები მცირედად შემცირდეს.
შეფასება	უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და განახორციელა პროგრამის სწავლის შედეგების კორექტირება, კერძოდ, პროგრამის 12 სწავლის შედეგი კორექტირებული სახით ჩამოყალიბებულია 10 სწავლის შედეგად.



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>ქ. ქუთაისის სააკადემიო სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაცია კურსდამთავრებულთა მიერ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შესახებ;</li> <li>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.</li> </ul>
------------------	---

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
-----------------------	---

კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
------------------------	---------------------------------------

რეკომენდაცია IV	<p>რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზე შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვითშეფასებას განახორციელებს.</p>
-----------------	--

შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავებაში შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, თითქოსდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავება განახორციელა თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა, რაც, ლოგიკურად, წინააღმდეგობაშია თვითშეფასების ანგარიშის შედეგისა და პროგრამის დაგეგმარება, შემუშავებისა და განვითარების პროცესთან.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან:</p>
----------	--



	<p>საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების, პროგრამის შემუშავების, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების ფაზები. ყოველ ფაზაში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები.</p> <p>პროცედურის მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ხდება პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ფორმირება, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის იდეის ინიციატორი (ან მისი წარმომადგენელი), ფაკულტეტის და/ან დეპარტამენტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით, უსდ-ის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის შექმნილია პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, სფეროს მოწვეული სპეციალისტი), სტუდენტი, კურსდამთავრებული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, დამსაქმებელი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უსდ-ის ანგარიშით დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის შესაბამისად.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
რჩევა	
შეფასება	





მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა“;</li> <li>• უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში.</li> <li>• სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის ოქმი №9.</li> </ul>
------------------	---

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მექანიზმის დონეზე სწორად არის გაწერილი, ასევე, სწორად იქნეს გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში, სამიზნე ნიშნულების დადგენასა და მონაცემთა შეგროვება-შეფასების პროცესში.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენას და სამიზნე ნიშნულების დადგენას უსდ-ში მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის თანახმად, პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 70%-ის მიღწევა ანუ 70% არის ზღვრული ნორმა, რაზედაც გადის სასწავლო კურსი და არა კონკრეტული აქტივობა. ამასთან, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად.</p>



	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი კვლავ საჭიროებს დახვეწას.</p> <p>სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შეფასდეს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.</p> <p>უსდ-ის მიერ წარმოდგენილ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებად მითითებულია, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდები/ აქტივობები (მაგალითად, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; წიგნზე მუშაობა; წერიტი მუშაობა; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში), ასევე დასკვნითი გამოცდა, რაც არასწორი მიდგომაა.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ უნდა გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.</p> <p>მთლიანობაში, სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.</p>
--	---



	შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ კვლავ საჭიროებს დახვეწას.
რჩევა V	სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელებულიყო.
შეფასება	<p>აღნიშნული რჩევა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ აკრედიტაციის პერიოდში უსდ-ის მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2015-2018 წლების აკადემიური მოსწრების კვლევის შედეგები.</p> <p>უსდ-ის განმარტებით აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა წარმოებს ყოველ სასწავლო წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებისთვის. ამასთან, უსდ-მ წარმოადგინა 2018-2021 სასწავლო წლების აკადემიური მოსწრების ანალიზი.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;</li> <li>• სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის ოქმი №9;</li> <li>• 2018-2019, 2019-2020, 2020-2021 სასწავლო წლების აკადემიური მოსწრების ანალიზი.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია VI	რეკომენდირებულია, კურსკულიუმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე და ის დონეც, თუ რომელი რა დონით ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა კურიკულუმის რუკის დახვეწას, რათა ნათელი ყოფილიყო თუ რომელი სასწავლო კურსებით/ აქტივობებით და რა დონით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა და კურიკულუმის რუკის ანალიზი, სადაც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსებითა თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.</p>



	<p>ამასთან, კურიკულუმის რუკაზე მითითებულია ისიც, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება).</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.6 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;</li> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკის ანალიზი;</li> <li>• სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის ოქმი №9.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b>
რეკომენდაცია VII	რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და თითოეული სწავლის შედეგისათვის ხელახლა დადგინდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, განხორციელდეს მონიტორინგი და მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენას, სამიზნე ნიშნულების გადახედვას, თითოეული სწავლის შედეგის შეფასების პერიოდულობის განსაზღვრას და მომავალში მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარებას.</p> <p>აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის თანახმად, პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით</p>



	<p>გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 70%-ის მიღწევა ანუ 70% არის ზღვრული ნორმა, რაზედაც გადის სასწავლო კურსი და არა კონკრეტული აქტივობა.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის თანახმად, სამიზნე ნიშნულებთან დადარებას უსდ მოახდენს 1 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად.</p> <p>რჩება სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ანალიზით რჩება შთაბეჭდილება, რომ საუბარია არა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე, არამედ „სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა“-ზე</p> <p>როგორც მე-5 რეკომენდაციის შეფასებისას აღინიშნა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კვლავ საჭიროებს დახვეწას.</p> <p>სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შეფასდეს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.</p> <p>უსდ-ის მიერ წარმოდგენილ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებად მითითებულია, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდები/</p>
--	---



	<p>აქტივობები (მაგალითად, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში), ასევე დასკვნითი გამოცდა, რაც არასწორი მიდგომაა.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ უნდა გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ კვლავ საჭიროებს დახვეწას.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი“ კურიკულუმში;</li> <li>• კურიკულუმის რუკა;</li> <li>• კურიკულუმის რუკის ანალიზი;</li> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;</li> <li>• სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის ოქმი №9.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
რეკომენდაცია VIII	<p>რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შინაარსიდან და თემატიკიდან გამომდინარე, დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, კერძოდ: ა.სავალდებულო სასწავლო კურსს „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“; ბ. სავალდებულო სასწავლო კურსს „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ დაშვების</p>



	<p>წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდოლოგია“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“. გ. სავალდებულო სასწავლო კურსს „სასამართლო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდოლოგია“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“. დ.არჩევით სასწავლო კურსს „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“; ე.არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდოლოგია“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სახელშეკრულებო სამართალი“ და „შრომის სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“; ვ.არჩევით სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა საბაკალავრო პროგრამის ექვს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაზუსტებას. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან და სასწავლო კურსების სილაბუსებიდან დგინდება, რომ უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია რეკომენდებულ სასწავლო კურსებთან მიმართებით დააზუსტა მათზე დაშვების წინაპირობები.</p>



	<p>კერძოდ, რეკომენდაციის შესაბამისად დაზუსტდა სასწავლო კურსების „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“, „სასამართლო უნარ-ჩვევები“, „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდის“, „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობები.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.8 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;</li> <li>• სასწავლო კურსების „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“, „სასამართლო უნარ-ჩვევები“, „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდის“, „სამოხელეო სამართალი“ სილაბუსები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
რეკომენდაცია IX	რეკომენდებულია, იურიდიული კლინიკა შეტანილი იქნეს პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა იურიდიული კლინიკა შეტანას საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში, 240 კრედიტის ფარგლებში.</p> <p>დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და იურიდიული კლინიკის კურსები „იურიდიული კლინიკა 1“ და „იურიდიული კლინიკა 2“ შეიტანა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სახით.</p>





	ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დასაზუსტებელია აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით ისინი წარმოდგენილია 4 კრედიტიანი კურსების სახით, ხოლო შესაბამისი სილაბუსით 5 კრედიტიანი კურსების სახით  მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.9 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ ითვლება შესრულებულად.
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;</li> <li>• სასწავლო კურსების „იურიდიული კლინიკა 1“ და „იურიდიული კლინიკა 2“ სილაბუსები.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.3. სასწავლო კურსი</b>
რეკომენდაცია X	რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ დაიყოს 3 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სამოქალაქო სამართალში“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“ და „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ და სტუდენტებს შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ამასთან, სასწავლო კურსმა „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ უნდა მოიცვას, როგორც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში.
შეფასება	რეკომენდაცია შეეხებოდა სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის“ დაყოფას 3 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სამოქალაქო სამართალში“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“ და „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“  დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სახით წამოდგენილია სასწავლო კურსები: „კაზუსის ამოხსნის



	<p>მეთოდის „სამოქალაქო სამართალში“ (4 ECTS), „კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში“ (4 ECTS) და „კაზუსის ამოხსნის მეთოდის საჯარო სამართალში“ (4 ECTS).</p> <p>ამასთან, რეკომენდაციის შესაბამისად, სასწავლო კურსმა „კაზუსის ამოხსნის მეთოდის საჯარო სამართალში“ მოიცვა, როგორც კაზუსის ამოხსნის მეთოდის ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.10 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>
<p>რჩევა VIII</p>	<p>სასწავლო კურსი „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის“ ორიენტირებულია მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის სწავლებაზე. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის“. ამასთან, სასწავლო კურსი „სასამართლო უნარ-ჩვევები“ თემატურად მოიცავს მხოლოდ სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვასთან მიმართებაში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“.</p>
<p>შეფასება</p>	<p>უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და სასწავლო კურსს „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის“ მისი შინაარსიდან და თემატიკიდან გამომდინარე ეწოდა „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის“, ხოლო სასწავლო კურსს „სასამართლო უნარ-ჩვევები“ ეწოდა „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“.</p>
<p>რჩევა IX</p>	<p>სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით არჩევითი სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლოდ, პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს.</p>



შეფასება	აღნიშნული რჩევა უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“-ს სილაბუსში.
რჩევა X	<p>როგორც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო რესურსების ანალიზმა ცხადყო, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსები განახლდეს ან/და შეივსოს თანამედროვე ან/და უახლესი სასწავლო რესურსებით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: ა. სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი“ (თ. ზარანდია, სანივთო სამართალი, თბ., 2019); ბ.სასწავლო კურსი „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ (მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2018); გ. სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ (რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2019); დ. სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“ (დ. ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, მე-5 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2019; პ. ბელთაძე, რ. ლიპარტელიანი, შრომის კოდექსის კომენტარები, თბ., 2018. ზ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბ., 2020); ე. სასწავლო კურსი „საკორპორაციო სამართალი“ (ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბ. 2019); ვ. სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ (ა. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გადამუშავებული და განახლებული გამოცემა, თბ., 2020; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, თბ., 2020); ზ. სასწავლო კურსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ (კ. კუმლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2020; ვ. გონაშვილი, ლ. დარბაიძე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2019); თ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ (სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, ავტორთა ჯგუფი; რედ.: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, თბ., „მერიდიანი“, 2019); ი. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი</p>



	<p>1“ (სისხლის სამართლის სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-7 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2019; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, მე-6 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2020; თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ., 2020; ი.დვალაძე, ლ.ხარანაული, გ.თუმანიშვილი, კ. წიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019); კ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“ (თ. გეგელია, გ. დავითური, გ. იმნაძე, გ. მახარაძე, ბ. ჯიშკარიანი, ნარკოტიკული დანაშაული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020); ლ. სასწავლო კურსი „ხელშეკრულების შედგენის მეთოდთა კერძო სამართალში“ (მ. ბიჭია, ხელშეკრულების ფორმები კერძო სამართალში, თბ., 2019).</p>
შეფასება	<p>უსდ-მ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული რჩევა და მთელი რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსები განახლდა ან/და შეივსო თანამედროვე ან/და უახლესი სასწავლო რესურსებით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „სანივთო სამართალი“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „შრომის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდთა კერძო სამართალში“.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;</li> <li>• სასწავლო კურსების „კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სამოქალაქო სამართალში“ (4 ECTS), „კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში“ (4 ECTS) და „კაზუსის ამოხსნის მეთოდთა საჯარო სამართალში“ (4 ECTS) სილაბუსები.</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდის“ „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“ სილაბუსები;</li> <li>• სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“-ს სილაბუსი;</li> <li>• სასწავლო კურსების „სანივთო სამართალი“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „შრომის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „ხელშეკრულების შედგენის მეთოდის“ კერძო სამართალში“ სილაბუსები.</li> </ul>
--	--

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b>
რეკომენდაცია XI	<p>რეკომენდებულია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში მყისიერი ტრანსფერის მიზნით, უსდ-მ სრულყოფილ თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი და სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი, პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს.</p>
შეფასება	რეკომენდაცია შეეხებოდა თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის მკაფიოდ გამოკვეთას.



	<p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მთელი რიგი სასწავლო კურსის სილაბუსები ნათლად არ ასახავდა თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს მოცემული სასწავლო კურსის ფარგლებში.</p> <p>უსდ-მ გარკვეულწილად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ძირითადი სწავლის სფეროს ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში დააკონკრეტა როლური და სიტუაციური თამაში - იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის სახით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „შრომის სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ და სხვა.</p> <p>ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები კვლავ არ იძლევა ნათელ წარმოდგენას, თუ რა სახის როლურ თამაშში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „სახელშეკრულებო სამართალი“, „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდოლოგია“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „სანივთო სამართალი“ და სხვა.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.11 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია ნაწილობრივ.</p>
--	--



<p>რჩევა XI</p>	<p>სასურველია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რჩევა შეეხებოდა სამომავლოდ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმების გაუმჯობესებას და როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების, გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირების უზრუნველყოფას.</p> <p>რჩევა განპირობებული იყო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლით (სტუდენტთა საერთო რაოდენობის 8.8 პროცენტი).</p> <p>უსდ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდებზე ინტენსიურად ხდება შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსების, ასევე, სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების, საჯარო ლექციების ჩატარების და შემეცნებითი ტურების განხორციელების შესახებ ინფორმაციების განთავსება.</p>
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „შრომის სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ სილაბუსები;</li> <li>• სასწავლო კურსების „სახელშეკრულებო სამართალი“, „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სანივთო სამართალი“, სილაბუსები.</li> <li>• უნივერსიტეტის ვებგვერდი <a href="https://atsu.edu.ge/">https://atsu.edu.ge/</a></li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი <a href="https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo">https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo</a></li> </ul>
--	--

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.5. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b>
რეკომენდაცია XII	<p>სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენდეს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური წერითი საშინაო დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია ან საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს საბაკალავრო ნაშომი, თუნდაც ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორცაა საქართველოს ისტორია, ლათინური ენა, ლოგიკა, პოლიტოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია და რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის არცერთი სავალდებულო კურსის ფარგლებში არ ხდებოდა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ კვლევითი ხასიათის პროექტების შემუშავება. სტუდენტის მიერ კვლევითი ხასიათის რეფერატის შესრულებას საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს 62 სასწავლო კურსიდან ითვალისწინებდა მხოლოდ 5 არჩევითი სასწავლო კურსი.</p> <p>უსდ-მ გარკვეულწილად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით ძირითადი სწავლის სფეროს 6 სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გაითვალისწინა სტუდენტის მიერ კვლევითი ხასიათის რეფერატის შესრულება. ასეთ სასწავლო კურსებს</p>





	<p>განეკუთვნება: „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება“, „ბავშვთა უფლებების სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“.</p> <p>ამრიგად, ძირითადი სწავლის სფეროს 30 სავალდებულო სასწავლო კურსიდან სტუდენტთა სასწავლო-კვლევით უნარებს მხოლოდ 6 სავალდებულო სასწავლო კურსი ანვითარებს, რა აშკარად არასაკმარისია აღიშნული უნარების განსავითარებლად, მითუმეტეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას არ ითვალისწინებს.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.12 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია ნაწილობრივ.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „ბავშვთა უფლებების სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“.</li> </ul> <p>სილაბუსები.</p>

სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b>
რეკომენდაცია XIII	რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული მეთოდების, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდის გამოყენებას.
შეფასება	რეკომენდაცია შეეხებოდა სწავლება-სწავლის პროცესში პრაქტიკული მეთოდების, ასევე კვლევითი პროექტის



	<p>შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდის ფართოდ გამოყენებას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში ნაკლებად გამოიყენება პრაქტიკული მეთოდები, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის არცერთი სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსი არ ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ კონკრეტული პრაქტიკული დავალების შესრულებას, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებას და მის საჯარო პრეზენტაციას (ზეპირი, Power Point და სხვა).</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული იყო სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავება (მაგალითად, სტუდენტი „ადგენს ცალკეულ საპროცესო დოკუმენტებს“, სტუდენტი „ადგენს სამოქალაქო საპროცესო სახით დოკუმენტებს“, სტუდენტი „ადგენს ცალკეული სახის საპროცესო დოკუმენტს“ და ა.შ.), აღნიშნულ სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის პრაქტიკული მეთოდების ნაცვლად გამოიყენებოდა როლურ და სიტუაციურ თამაშებში სტუდენტის მონაწილეობის მეთოდი.</p> <p>უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზით დგინდება, რომ ძირითადი სწავლების სფეროს 30 სავალდებულო სასწავლო კურსიდან მხოლოდ 6 სავალდებულო სასწავლო კურსში („სახელშეკრულებო სამართალი, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“, „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“) გამოიყენება სწავლება-სწავლის პრაქტიკული მეთოდები, პრაქტიკული დავალების შესრულების სახით და მხოლოდ 6 სავალდებულო სასწავლო</p>
--	---



	<p>კურსში („საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება“, „ბავშვთა უფლებების სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“) გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდი, როგორცაა კვლევითი პროექტის (რეფერატის) შემუშავება და მისი საჯარო პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა).</p> <p>სასურველია, უსდ-მ გაზარდოს ძირითადი სწავლების სფეროს იმ სავალდებულო სასწავლო კურსების რიცხოვნობა, რომელთა სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენებული იქნება პრაქტიკული მეთოდები, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდი.</p> <p>მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.13 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების „სახელშეკრულებო სამართალი, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“, „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“ სილაბუსები;</li> <li>• სასწავლო კურსების „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „ბავშვთა უფლებების სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“ სილაბუსები.</li> </ul>
სტანდარტის დასახელება	<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის თვისების შეფასების ადეკვატურობა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>



<p>რეკომენდაცია XIV</p>	<p>რეკომენდებულია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გაითვალისწინონ თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, მათ შორის ისეთი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, როგორცაა პრაქტიკული დავალება, ტესტი, ღია კითხვა, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტთა ცოდნის შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნებას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სტუდენტის აქტივობის შესაფასებლად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლების სფეროს ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენებოდა მიმდინარე შეფასების შემდეგი მეთოდების კომბინაცია: დისკუსია-დებატები, კაზუსის ამოხსნა, ესე, ჯგუფური სამუშაოს შესრულება, ქვიზი და როლური და სიტუაციური თამაში. ამასთან, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფარგლებში შეფასების მეთოდებად გამოიყენებოდა მხოლოდ თეორიული საკითხი ან/და კაზუსი.</p> <p>უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასახა სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მეთოდებიც როგორცაა პრაქტიკული დავალება, ტესტი, ღია კითხვა, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესში მონაწილეობა და სხვა.</p> <p>მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების 4.14 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.</p>



რჩევა XIII	სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.
შეფასება	<p>უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა და სტუდენტთა შეფასების სისტემაში განახორციელა ცვლილება, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრა იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას იძლევა.</p> <p>განხორციელებული ცვლილებით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს არანაკლებ 24 ქულას (ნაცვლად 18 ქულისა), ხოლო დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრა 17 ქულით (ნაცვლად 15/20 ქულისა).</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის ოქმი №9;</li> <li>• ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის №2 დადგენილება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გაზრდის შესახებ;</li> <li>• ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №12 დადგენილება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გაზრდის შესახებ.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b>
რეკომენდაცია XV	რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ



	უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა სწავლების უკუკავშირთან დაკავშირებით სტუდენტთა გამოკითხვისთვის ოპტიმალური დროდ შერჩევას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ინტერვიუების შედეგად სტუდენტებს გააჩნდათ არაერთგვაროვანი პოზიცია, სწავლების უკუკავშირთან დაკავშირებით, კერძოდ, სტუდენტთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ მათი გამოკთხვა ტარდებოდა ყოველი სემესტრის ბოლოს, საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, რაც სუბიექტივიზმის რისკის მოტივით ექსპერტის დასკვნით უარყოფითად იქნა შეფასებული.</p> <p>უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურით დგინდება, რომ სტუდენტთა გამოკითხვის დროდ შერჩეულია ყოველი სემესტრის ბოლო.</p> <p>შესაბამისად, ბუნდოვანია გაითვალისწინა თუ არა უსდ-მ აღნიშნული რეკომენდაცია და გამოკითხვის ეტაპი გადმოიტანა თუ არა ყოველი სემესტრის ბოლოს საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>
კომპონენტის დასახელება	<b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b>
რეკომენდაცია XVI	რეკომენდირებულია უსდ-მ ბიუჯეტში კონკრეტულად განსაზღვროს/გამოყოს მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობა.
შეფასება	რეკომენდაცია შეეხებოდა ბიუჯეტში მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განსაზღვრას და საერთაშორისო



	<p>კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სააკრედიტაციო პერიოდში უსდ-ის მიერ დაფინანსდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხოლოდ ერთი კვლევითი პროექტი, ხოლო აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის საერთაშორისო კონფერენციაზე გასვლითი მონაწილეობა ან სხვა სამეცნიერო კვლევა უსდ-ს მიერ არ დაფინანსებულა.</p> <p>აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უსდ განმარტავს, რომ 2018/20019, 2019/2020 და 2020/2021 სასწავლო წლებში ფაკულტეტმა გამოაცხადა შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსები. საგრანტო კონკურსები ითვალისწინებდა პროექტების დაფინანსებას მაქსიმუმ 15 ათასი ლარის ფარგლებში, მთლიანობაში ყოველწლიური 90 000 ლარის ოდენობით.</p> <p>ამასთან, უსდ გამოთქვამს მზადყოფნას პროგრამაში ჩართული პირების მიერ ინფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ხარჯები დაფაროს სრულად.</p>
რჩევა	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი;</li> <li>• 2018/2019, 2019/2020, 2020/2021 სასწავლო წლებში შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბრძანებები <a href="https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/2653-shidasaf-konkursi-biznesi-geo">https://atsu.edu.ge/index.php/business-news-geo/2653-shidasaf-konkursi-biznesi-geo</a></li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>
კომპონენტის დასახელება	<b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b>
რეკომენდაცია XVII	რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი



	<p>პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) ხორციელდებოდა.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვისა და მიღებული შედეგების ანალიზის პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) განხორციელებას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 2016-2017 წლებში განხორციელებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის პერიოდულობასა და ვადებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტუდენტი და აკადემიური პერსონალი გამოიკითხება ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო დამსაქმებელი და კურსდამთავრებული - 2 წელიწადში ერთხელ.</p>
<p>რეკომენდაცია XVIII</p>	<p>შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რეკომენდირებულია, მონაცემთა, მათ შორის, პროგრამის სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისათვის გამოყენება.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა თვითშეფასების ანგარიშში სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების სწორად განსაზღვრას.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში არ იყო მითითებული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა, არასრულფასოვნად იყო წარმოდგენილი სტუდენტთა პროგნოზი, არ იყო წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა რაოდენობა წლების მიხედვით, არ იყო წარმოდგენილი სასერტიფიკატო გამოცდების შედეგების</p>





	<p>შესახებ ინფორმაცია, არასრულად იყო წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.</p> <p>დაწესებულება გამოხატავს მზადდონას რეკომენდაციის გათვალისწინებით და აწსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასებები და სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიყენოს პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;</li> <li>• 2020/2021 წლების სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.</li> </ul>

სტანდარტის დასახელება	<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>
კომპონენტის დასახელება	<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
რეკომენდაცია XIX	<p>რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავებაში აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.</p> <p>რეკომენდაცია განაპირობა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში აღინიშნულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა თვითშეფასების ჯგუფის მიერ და არა უსდ-ში დადგენილი პროცედურებისა შესაბამისად.</p> <p>აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.</p>



	<p>პროცედურის მიხედვით ფაკულტეტის საბჭოზე საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ხდება პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ფორმირება, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის იდეის ინიციატორი (ან მისი წარმომადგენელი), ფაკულტეტის და/ან დეპარტამენტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი; სტუდენტები ან/და სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.</p> <p>უსდ-ის განმარტებით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შემუშავდა პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამართლის მიმართულების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p>
რეკომენდაცია XX	რეკომენდირებულია, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მინიმუმ ყოველწლიურად ხორციელდებოდეს.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის ყოველწლიურ მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.</p> <p>რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 2016-2017 წლებში განხორციელებული სტუდენტთა გამოკითხვა და მისი შედეგების ანალიზი.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა, რომლიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის პერიოდულობასა და ვადებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტუდენტი და აკადემიური პერსონალი გამოიკითხება ყოველი სემესტრის</p>



	<p>ბოლოს, ხოლო დამსაქმებელი და კურსდამთავრებული - 2 წელიწადში ერთხელ.</p> <p>უსდ-ის განმარტებით პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.</p>
რეკომენდაცია XXI	<p>პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდირებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მიღებული შედეგები გაანალიზდეს და ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარების მიზნით.</p>
შეფასება	<p>რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის განვითარების მიზნით, სამართლის საბაკალავრო პროგრამა დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან,</p> <p>ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე უსდ-ის მიერ განხორციელდა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და სამაგიდო კვლევის შედეგად პროგრამას ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სახით დაემატა სასწავლო კურსები „კულტურული მემკვიდრეობის სამართალი“ და „საარბიტრაჟო სამართალი“.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;</li> <li>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.</li> </ul>

### თანდართული დოკუმენტაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების ანგარიში - 22 ფურცელი;
2. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - 17 ფურცელი;
3. კურიკულუმის რუკა - 2 ფურცელი;



4. კურიკულუმის რუკის ანალიზი - 4 ფურცელი;
5. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა - 5 ფურცელი;
6. სილაბუსები - 686 ფურცელი
7. აკადემიური მოსწრების ანალიზი (2018/2019; 2019/2020; 2020/2021 სასწავლო წლები) - 12 ფურცელი;
8. ამონაწერი სამართლის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომის №9 ოქმიდან - 3 ფურცელი;
9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით - 10 ფურცელი;
10. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა - 18 ფურცელი;
11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაცია - 1 ფურცელი;
12. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესები - 10 ფურცელი;
13. შიდასაფაკულტეტო გრანტი 2018 წელი - 2 ფურცელი;
14. შიდასაფაკულტეტო გრანტი 2019 წელი - 2 ფურცელი;
15. შიდასაფაკულტეტო გრანტი 2021 წელი - 2 ფურცელი;
16. ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებები დასკვნით გამოცდაზე დაშვებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გაზრდის შესახებ - 2 ფურცელი;
17. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2020/2021 სასწავლო წელი - 35 ფურცელი;
18. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა - 7 ფურცელი;
19. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა - 6 ფურცელი.

*ექსპერტის ხელმოწერა*